



საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№170 2017 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

1. დამტკიცდეს 2017 წლის 20 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის (შემდგომში - დელეგაცია) თანდართული შემადგენლობა.
2. დელეგაციის წევრთა მივლინების ხარჯები აანაზღაურონ შესაბამისმა უწყებებმა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2017 წლის 18 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი კვიციანი



